ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/გ 015-16

"07" 07 2016 წ.

დადგენილება №001278
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.07.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი უკლებამ განვიხილე 2016 წლის 24 მარტის №001287 მითითება და 2016 წლის 13 აპრილის №001278 შემოწმების აქტი შედგენილი ს.ს. **"ვენჯორჯია"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №404885335, დირ. სამსონ ფხაკაძე (პირადი №01024006897), მის: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მეაბრუშუმეობის ს/კ ინსიტიტუტი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ, ნაკვეთ №13/090-ში (საკ. კოდი №01.72.14.013.609) ს.ს. "ვენჯორჯია"-ს მიერ განხორციელდა სარეკლამო აბრების, ბილბორდების და აგრეგატის განთავსება შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. ამასთანავე, ერთ-ერთი სარეკლამო აბრა ცდება საკადასტრო საზღვარს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 24 მარტს შედგენილ იქნა მითითება №001278, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტების დემონტაჟისათვის ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2016 წლის 13 აპრილს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001278, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2016 წლის 09 ივნისს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ მხარეს ეცნობა სათანადო წესით. სხდომაზე გამოცხადნენ ს.ს. "ვენჯორჯია"-ს წარმომადგენლები გიორგი ღარიბაშვილი (პირადი №01024059900, მინდობილობა №W06/212, გაცემული ს.ს. "ვენჯორჯია"-ს დირექტორის სამსონ ფხაკაძის მიერ 08.06.2016წ.) და მოქ. სოფიო გაფრინდაშვილი (პირადი №01031004156, მინდობილობა №W06/211, გაცემული ს.ს. "ვენჯორჯია"-ს დირექტორის სამსონ ფხაკაძის მიერ 08.06.2016წ.), რომლებმაც დაადასტურეს მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მათვე აღნიშნეს, რომ აპირებენ

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

დარღვევების ადგილზე გამოსწორებას, რაც საჭიროებს დროს და მოთხოვნილ იქნა დამატებითი ვადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის №4-3/168-გ/16 13.06.2016წ. ბრძანებით, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელებულ იქნა 2016 წლის 13 ივნისიდან 2016 წლის 13 აგვისტომდე.

საქმეშია, მხარის №224942/12 24.06.2016წ. განცხადება, რომლითაც ს.ს. "ვენჯორჯია" ეთანხმება სამსახურის №001278 24.03.2016წ. მითითებით დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას და მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის თ. მაზანაშვილის მოხსენებითი ბარათით 07.07.2016წ. ირკვევა, რომ სამსახურის №001278 24.03.2016წ. მითითებით დაწყებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ს.ს. "ვენჯორჯია"-ს მიმართ ქ. თბილისში, მეაბრუშუმეობის ს/კ ინსიტიტუტი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ, ნაკვეთ №13/090-ში (საკ. კოდი №01.72.14.013.609) უნებართვოდ სარეკლამო აბრების (კონსტრუქცია), ბილბორდების და აგრეგატის განთავსების თაობაზე. აღნიშნული მითითებაში დაშვებულ იქნა ხარვეზი, კერძოდ, სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის მუხლად მითითებულია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, ნაცვლად საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" პუნქტისა (იხ. სამსახურის აზომვითი ნახაზი 23.03.2016წ.). ასევე არასწორად იქნა მითითებული შემდეგი დარღვევები: "მოწყობილია ბილბორდები, სტენდები და აგრეგატი", ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მიღებულია №4-1/დ247-15 №000052 14.05.2015წ. დადგენილება. შესაბამისად, დღეისათვის ს.ს. "ვენჯორჯია"-ს მიერ ქ. თბილისში, მეაბრუშუმეობის ს/კ ინსიტიტუტი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ, ნაკვეთ №13/090-ში (საკ. კოდი №01.72.14.013.609) უნებართვოდ განხორციელებულია შემდეგი სამშენებლო სამუშაოები: სახურავზე სარეკლამო წარწერას მონაცვლებული აქვს ადგილი. სარეკლამო აბრა (კონსტრუქცია) ცდება საკადასტრო საზღვარს. შენობის ტერასაზე შესასვლელ კართან, აგრეგატთან და 8-1 ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრები. 06.07.2016წ. ობიექტის ადგილზე გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ მხარის მიერ არ არის დემონტირებული ზემოაღნიშნული დარღვევები. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ს.ს. "ვენჯორჯია"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მეაბრუშუმეობის ს/კ ინსიტიტუტი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ, ნაკვეთ №13/090-ში (საკ. კოდი №01.72.14.013.609) ს.ს. "ვენჯორჯია"-ს მიერ განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე: სახურავზე სარეკლამო წარწერას მონაცვლებული აქვს ადგილი. სარეკლამო აბრა (კონსტრუქცია) ცდება საკადასტრო საზღვარს. შენობის ტერასაზე შესასვლელ კართან, აგრეგატთან და 8-1 ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრები

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონი "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. ს.ს. "ვენჯორჯია" დაჯარიმდეს 8.000 (რვაათასი) ლარით ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ, ნაკვეთ №13/090-ში (საკ. კოდი №01.72.14.013.609) უნებართვოდ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის;

2. ს.ს. "ვენჯორჯია"-ს დაევალოს ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ, ნაკვეთ №13/090-ში (საკ. კოდი №01.72.14.013.609) უნებართვოდ განოხრციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟი;

3. ს.ს. "ვენჯორჯია"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ს.ს. "ვენჯორჯია"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი